შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№41 (10.096)

4 - 11 ნოემბერი 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დასრულდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსებული პროექტების განხორციელება დასრულდა.

პროგრამის ფარგლებში სოფელ არბოშიკში ე.წ. „კოტაანთ უბანში“ არსებულ ბავშვთა გასართობ ატრაქციონებთან მოეწყო საყრდენი კედელი, ასევე ე.წ. „გზირიანის უბანში“ განხორციელდა წყაროს რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. მირზაანში ლედ სანათებით შეიცვალა სოფლის გარე განათების ქსელის ნათურები და რეაბილიტირდა საბავშვო ბაღის მესერი. ზემო მაჩხაანში საბავშვო ბაღის შენობაში საცეკვაო დარბაზი მოეწყო, ქვემო ქედში განხორციელდა ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული იგორ ცაბაურაშვილის სახელობის სკვერის კედლის რეაბილიტაცია და სოფლის შესასვლელში არსებული სკვერის კეთილმოწყობა, არხილოსკალოში კეთილმოეწყო საბავშვო ბაღის ეზო, გადაიხურა შესასვლელი და ეზოში დაემატა ბავშვთა გასართობი ატრაქციონები, ზემო ქედში შემოიღობა ე.წ. „მთიულების“ სასაფლაო და, „ქსნელების უბანში“ არსებული სტადიონი, თავწყაროს დასახლებაში სასაფლაოს ტერიტორიაზე მოეწყო ფანჩატური და საპირფარეშო, გამარჯვებაში შემოიღობა და გაფართოვდა სასაფლაო და ჭაბურღილებთან მოეწყო წყალსადენი და რეზერვუარი. ოზაანში ე.წ. „აბანოს უბანში“, „სახერხის უბანში“ და „გუდაანთ უბანში“ მოიხრეშა და დაგრეიდერდა საუბნო გზები, საბათლოში ცენტრალურ უბნებზე გარე განათების ქსელის ნათურები შეიცვალა ლედ სანათებით, ფიროსმანში განხორციელდა სოფლის მიმდებარედ არსებული არტეზიული ჭიდან გამომავალი წყალსადენის რეაბილიტაცია, ასევე შინდისის გმირთა მემორიალის პარკში დამონტაჟდა და რეაბილიტირდა ტრენაჟორები და ბავშვთა გასართობი ატრაქციონები, სამთაწყაროში კეთილმოეწყო საბავშვო ბაღის ეზო, სამრეკლოში ასევე კეთილმოეწყო სოფლის ცენტრში არსებული მინი სტადიონის მიმდებარე ტერიტორია და შემოიღობა საჯარო სკოლის ეზოს დარჩენილი მონაკვეთი, ხორნაბუჯში, ეკა ბეჟანიშვილის ქუჩაზე, დამონტაჟდა ბავშვთა გასართობი ატრაქციონები, ხოლო ჭოეთში, სოფლის ცენტრში, სატრენაჟორო ფარდული და ტრენაჟორები მოეწყო.

„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სოფლის პროგრამა წარმატებით დავასრულეთ.

მუნიციპალიტეტის 15 სოფელში განხორციელდა 23 პროექტი, რაზედაც დაიხარჯა 310 000 ლარამდე. მადლობა ჩვენს მოსახლეობას აქტიური ჩართულობითვის, სწორად შერჩეული პრიორიტეტებისთვის; ასევე მინდა მადლობა ვუთხრა ყველა თანამშრომელს, რომელთაც კეთილსინდისიერად შეასრულეს თავისი მოვალეობა.

პროგრამის ფარგლებში ყველა სოფელსა და დასახლებაში მოგვარდა ის პრობლემები, რომელზეც მოსახლეობამ არჩევანი გააკეთა“-აცხადებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

შეგახსენებთ, რომ „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში სოფლის(ების) მოსახლეობა კრებებზე თანხმდება სოფლის საჭიროებებზე და ამ პროგრამის დახმარებით ხდება სამუშაოების შესყიდვა. „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით ყველაზე ხშირად ფინანსდება შიდა სასოფლო გზები, შიდა განათება, შემოღობვა, წყაროების მოპირკეთება, სკვერების მოწყობა, მინი სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ა.შ.

„2024 წელს მთელი ქვეყნის ეკონომიკა 85 მილიარდ 370 მილიონი ლარი იქნება“

ბიუჯეტი კონსერვატიულად არის დაგეგმილი, 5%-იანი ეკონომიკური ზრდა გვაქვს გათვალისწინებული 2024 წელს, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომის დაწყებამდე განაცხადა.

მისი თქმით, 2024 წელს მთელი ქვეყნის ეკონომიკა 85 მილიარდ 370 მილიონ ლარი იქნება.

„დღეს ჩვენ შევიკრიბეთ იმისთვის, რომ პარლამენტს გადავუგზავნოთ ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტი. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ბიუჯეტის პირველად ვარიანტზე საკმაოდ ინტენსიურად ვიმუშავეთ, ამის შემდეგ ჩვენ პარლამენტს წარუდგინეთ სექტემბრის ბოლოს პირველი ვარიანტი და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში გავაგრძელეთ მუშაობა თითოეულ სამინისტროსთან. მერე, ასევე, გვქონდა სამუშაო შეხვედრა პარლამენტთან, უმრავლესობასთან, კომიტეტებთან, ყველასთან დეტალურად გავიარეთ ბიუჯეტის პირველი ვარიანტი, შემდეგ ვიმუშავეთ და ახლა წარმოვადგენთ მეორე ვარიანტს.

მინდა აღვნიშნო, რომ კონსერვატიულად არის დაგეგმილი ბიუჯეტი, 5%-იანი ეკონომიკური ზრდა გვაქვს გათვალისწინებული 2024 წელს. ამავდროულად, მინდა ვთქვა, რომ შემცირებულია ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც 2024 წელს გვექნება 2,5% და შემდგომ წლებში ასევე კიდევ შემცირდება ბიუჯეტის დეფიციტი, ხოლო მთავრობის ვალი შეადგენს მშპ-ს 38,2 პროცენტს, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია, სულ რაღაც სამი წლის წინ იყო 60%-ზე მეტი და ეს მოვახერხეთ ძალიან მალე, მოკლე პერიოდში.

ასევე, მინდა ვთქვა, რომ ასეთი კონსერვატიული დაგეგმვის პირობებშიც, ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი იქნება 85 მილიარდ 370 მილიონ ლარი. მთელი ქვეყნის ეკონომიკა იქნება 85 მილიარდ 370 მილიონ ლარი. შედარებისთვის, მინდა შევახსენო საზოგადოებას, რომ 2012 წელს იყო 27 მილიარდი ლარი, ანუ გასამმაგდა მთელი ქვეყნის ეკონომიკა, ჩვენი მმართველობის პერიოდში, 11 წელიწადში. 85 მილიარდი იქნება 2024 წელს და 2012 წელს იყო 27 მილიარდი ლარი.

ასევე, მინდა შეგახსენოთ, რომ 2020 წელს მშპ იყო 50 მილიარდი ლარი. ანუ, კიდევ ვიმეორებ, რომ 30 მილიარდიანი ზრდა გვაქვს სამ წელიწადში დაახლოებით. ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით მშპ იყო 4250 დოლარი, და 2024 წელს გვექნება უკვე 8500 დოლარი. ასეთი ზრდა გვაქვს სულ რაღაც სამ წელიწადში.

ასეთი ტემპით ზრდის შემთხვევაში 2027 წლისთვის პროგნოზირებულია ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 108 მილიარდ ლარამდე, რაც ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 10 800 დოლარს გადააჭარბებს.

ეს ძალიან დამაიმედებელი პროგნოზია, იცით, რომ ჩვენ 2030 წლისთვის ვპროგნოზირებდით 10 000 დოლარს და ნახეთ, რომ სულ რაღაც 2-3 წელიწადში დიდი ნახტომი გავაკეთეთ“, - განაცხადა პრემიერმა.

პრემიერის განცხადებით, ანაკლიის პორტის მშენებლობის დაწყება 2024 წლის გაზაფხულზე იგეგმება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ანაკლიის პორტის მშენებლობის დაწყება 2024 წლის გაზაფხულზე იგეგმება.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე ინვესტორის შერჩევის პროცესი მიმდინარეობს.

ღარიბაშვილის თქმით, ანაკლიის პორტის მშენებლობისთვის ჯამში, 70 მლნ ლარია ბიუჯეტიდან გათვალისწინებული.

„ეკონომიკის სამინისტროს დამატებით გამოეყოფა 150 მილიონი ლარი და ჯამში 800 მლნ ლარამდე იქნება ბიუჯეტი. შედარებისთვის მინდა ვთქვა, რომ 2012 წელთან შედარებით გაზრდილი არის 326 მლნ ლარით ბიუჯეტი. აქედან მინდა მნიშვნელოვანი სიახლე გაცნობოთ - ანაკლიის პორტის მშენებლობისთვის ჯამურად გათვალისწინებული იქნება 70 მლნ ლარი. 50 მლნ ლარი იქნება ჩადებული 2024 წელს და 20 მლნ ლარი წელს გამოვყავით. ანუ, ჩვენი მხრიდან მობილიზებულია თანხები და ასეთი გეგმის მიხედვით, მშენებლობა გაზაფხულზე დაიწყება. აქტიურად მიმდინარეობს ინვესტორის ერჩევა, რომელიც მალე დასრულდება. მაქსიმუმ დეკემბერ-იანვარში გამოვაცხადებთ გამარჯვებულ ინვესტორს და ჩვენ ერთობლივად დავიწყებთ ანაკლიის პორტის მშენებლობას 2024 წლის მარტი-აპრილში“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 1474 ჰექტარი ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაცია განხორციელდა

მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი მიშელაძემ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილესთან გელა სამუკაშვილთან ერთად, დედოფლისწყაროში ინვენტარიზებული ქარსაფარი ზოლები რამდენიმე ლოკაციაზე დაათვალიერა და კერძო საკუთრებაში მოქცეული ქარსაფრების მფლობელებს შეხვდა.

დღეის მდგომარეობით, დედოფლისწყაროში ინვენტარიზებული 1474 ჰექტარი ქარსაფრიდან, დაახლოებით 80% განადგურებულია. აღნიშნული ფართობიდან 79 ჰექტარი კერძო საკუთრებაშია მოქცეული. ქარების სიძლიერის მიხედვით, დედოფლისწყარო განეკუთვნება I ჯგუფის მუნიციპალიტეტს, ამიტომაც უმნიშვნელოვანესია, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ნეგატიური პროცესებისგან მიწის რესურსების დასაცავად და მიწის ნაყოფიერების შესანარჩუნებლად ქარსაფრების დაცვა და მათი რეაბილიტაცია.

ქარსაფრების აღდგენა/გაშენება შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული ქარსაფარი ზოლის სტატუსის მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების იმ მიწის ნაკვეთებზე, რომლებზეც ჩატარდა ინვენტარიზაცია. შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქარსაფრებისთვის სტატუსის მინიჭებაზე კერძო მესაკუთრეებთან თანამშრომლობა. ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტის 33 მესაკუთრესთან შეთანხმება უკვე არსებობს, მათ მფლობელობაში არსებული ქარსაფრების ფართობი ერთობლიობაში 11 ჰექტარს შეადგენს.

საინვენტარიზაციო სამუშაოების ფარგლებში, მოხდა ქარსაფარი ზოლების ფაქტობრივი მდგომარეობის აღწერა, ინვენტარიზაციას დაექვემდებარა მწვანე ნარგავებით დაკავებული ქარსაფარი ზოლები და ის ტერიტორიებიც, სადაც მთლიანად ან ნაწილობრივ არის განადგურებული ქარსაფრები, ასევე, მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც სახელმწიფო უწყებებში დაცული დოკუმენტების მიხედვით წარმოადგენდა ქარსაფარ ზოლს.

სააგენტო ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაციის პროგრამას საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული პროგრამით, 2021 წლიდან ახორციელებს. საინვენტარიზაციო სამუშაოების გეგმის მიხედვით, 2023 წელს, ინვენტარიზაცია მიმდინარეობს დედოფლისწყაროს, ქარელის, კასპის და დუშეთის მუნიციპალიტეტებში; 31 ოქტომბრის მდგომარეობით, ინვენტარიზებულმა ფართობმა შეადგინა 2697 ჰა. 2021-2023 წლებში, საერთო ჯამში, ინვენტარიზებულია 3967 ჰექტარი ქარსაფარი, საიდანაც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირებულია 1716 ჰა. დანარჩენ ფართობზე სტატუსის მინიჭების პროცესი მიმდინარეობს.

2024 წელს ძალოვანი უწყებების თანამშრომელთა პენსიის ზედა ზღვარი 560 ლარიდან 1000 ლარამდე გაიზრდება

მთავრობის გადაწყვეტილებით, 2024 წელს ძალოვანი უწყებების თანამშრომელთა პენსიის ზედა ზღვარი 560 ლარიდან 1000 ლარამდე გაიზრდება. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მთავრობის სხდომაზე 2024 წლის ბიუჯეტზე საუბრისას აღნიშნა.

“მივიღეთ გადაწყვეტილება და ყოფილი პოლიციელები ჯარისკაცები, სპეცსამსახურები ანუ ძალოვანი უწყებების თანამშრომლები გაზრდილ პენსიას მიიღებენ. 560 ლარი იყო პენსიის მაქსიმალური ზღვარი და 1000 ლარამდე გაიზრდება. ასევე, საშუალოდ 20%-ით გაიზრდება ნამსახურების თითოეულ წელზე გათვლილი თანხის მოცულობა. გვინდა კიდევ ერთხელ მადლიერება გამოვხატოთ ჩვენი ძალოვანი უწყებების მიმართ და ეს იქნება ღირსეული პენსია, რომელიც, ეტაპობრივად, ყოველ წელს, გვინდა, შემოსავლის მიხედვით, გაიზარდოს.

ასევე, გვინდა მადლიერება გამოვხატოთ სამსახურებრივი მოვალეობისას დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრების მიმართ. მათი კომპენსაცია 1000 ლარიდან 1200 ლარამდე გაიზრდება. 2012 წელს იყო ნული ლარი. ჩვენ 1200 ლარს დავუნიშნავთ ყოველთვიურ კომპენსაციას ამ ოჯახებს, დიდება ჩვენს გმირებს! ასევე, გაიზრდება 9 აპრილის მონაწილეთა, პოლიტრეპრესირებულთა ოჯახის წევრების ყოველთვიური საყოფაცხოვრებო სუბსიდია. ჯამურად ეს დიდი თანხებია, რამდენიმე მილიონ ლარს შეადგენს”, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

ქვემო ქედში უსახელო სკვერს „გმირთა სახელობის პარკი“ ეწოდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედში მდებარე უსახელო სკვერს „შინმოუსვლელ გმირთა სახელობის პარკის“ სახელი მიენიჭა. ამის შესახებ საკრებულოს 31 ოქტომბრის სხდომაზე იმსჯელეს. დეპუტატებმა ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს.

დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ სკვერისთვის სახელის მინიჭება ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნა იყო, მუნიციპალიტეტმა კი საკითხი ჯერ სამინისტროს სახელდების კომისიას წარუდგინა, შემდეგ კი სესიაზე კენჭისყრაზე დააყენა.

ნუგზარ პაპიაშვილი: „მიუხედავად იმისა, რომ ამ სკვერში სწორედ იმდენი ნაძვი დაირგა, რამდენი გმირიც ქვემო ქედმა სამამულო ომში დაკარგა, ეს ტერიტორია დღემდე სახელის გარეშე იყო დარჩენილი. კომუნისტური წყობის შემდეგ ამ ტერიტორიაზე აღარაფერი გაკეთებულა. ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი, ამ ტერიტორიას ხელი შევავლეთ, მოეწყო სტადიონიც და ბოლო წლებში ეს ადგილი ძალიან გამოცოცხლდა. ახალგაზრდების თავშეყრის ადგილად იქცა. როცა სოფლის კრებებს ვატარებდით, ადგილობრივებისგან მუდმივად იყო თხოვნა, რომ მას სახელი მინიჭებოდა. ბოლო სოფლის კრებაზე შეგროვდა ხელმოწერებიც. ჩვენ მოსახლეობის ამ თხოვნის დასაკმაყოფილებლად ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელდების კომისიას მივმართეთ. წესების სრული დაცვით ვიმოქმედეთ. მათ განიხილეს ეს საკითხი და ამ ხნის განმავლობაში, სწორედ მათ გადაწყვეტილებას ველოდით. იქიდან დადებითი პასუხი მოვიდა. შემდეგ საკითხი დედოფლისწყაროს საკრებულოს სხდომაზე გავიტანეთ და აქაც დეპუტატებმა ინიციატივას მხარი დაუჭირეს. ასე რომ, დიდი ხნის სურვილი შესრულდა. ეს არ იქნება მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის გმირების სახელობის სკვერი, ეს იქნება სამშობლოს დასაცავად დაღუპული ყველა გმირის სახელობის სკვერი“.

ქვემო ქედელები ამბობენ, რომ წინა ხელისუფლების დროს სოფელში არაფერი გაკეთებულა და სკვერებიც ათეულობით წლის განმავლობაში უყურადღებოდ იყო მიტოვებული.

„ხომ იცით, ქვემო ქედის იქით აღარაფერია, ისედაც მოწყვეტილი სოფელია და წლების განმავლობაში ყველასგან მივიწყებული იყო. გზები და ინფრასტრუქტურა ბოლო წლებში გაკეთდა, თორემ ვის ახსოვდა ჩვენი სოფელი. ობელისკის ტერიტორიაც, ეს პარკიც და იგორ ცაბაურაშვილის სახელობის მემორიალიც ასე უყურადღებოდ იყო მიტოვებული. მესერი ყველგან დანგრეული იყო, საქონელი გადადიოდა და მოუვლელი იყო. ახლა ზოგან სტადიონი მოეწყო, ყველა პარკს ახალი მესერი აქვს. სოფლის ცენტრში მდებარე იგორ ცაბაურაშვილის მემორიალის ღობის მშენებლობაც ახლახან დასრულდა. ასე თუ ისე, ყურადღება ნამდვილად იგრძნობა და სოფლის მოსახლეობის თხოვნას ითვალისწინებენ. რა საკითხებიც სოფლის კრებებზე წამოიჭრება ხოლმე, დედოფლისწყაროს ხელისუფლება შესაძლებლობების ფარგლებში ყოველთვის ცდილობს გვერდით დაგვიდგეს და მხარი დაგვიჭიროს. ვინ წარმოიდგენდა, ცენტრალური გზა და სანიაღვრე არხები ქვემო ქედში ასე კარგად რომ მოეწყობოდა, მაგრამ ფაქტია, რომ გაკეთდა. ღმერთმა ქნას, ბევრი გაკეთდეს, რომ ახალგაზრდებს ხელშეწყობა ჰქონდეთ და აღარ დაიცალოს სოფელი. საზღვარს ვამაგრებთ და ასეთ სოფლებს მეტი ყურადღება სჭირდება,“ - აცხადებენ ქვემო ქედელები.

ილია მარტყოფლიშვილი

„მომავლის ხედვის კინოთეატრი“ გაიხსნა

21 ოქტომბერს, სოფელ ხორნაბუჯის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში, ქალთა და ახალგაზრდებისათვის ცენტრის „ხორნაბუჯი-თამარის ციხე“ ინიციატივით პროექტის „მომავლის ხედვის კინოთეატრის“ პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციაზე პირველი ფილმის ჩვენებაც მოეწყო.

ქალთა და ახალგაზრდებისათვის ცენტრი „ხორნაბუჯი-თამარის ციხე“ 2016 წელს სოფელ ხორნაბუჯში „საგას“ და, „CSRDG“-ის ინიციატივით გაიხსნა, რომელიც დღემდე მუშაობს. ამ წლების განმავლობაში ცენტრში განხორციელდა სამი პროექტი და პროგრამული სამუშაოები. პრეზენტაციას ესწრებოდნენ სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები. საღამოს მუსიკალურად აფორმებდნენ ინდივიდუალური შემსრულებლები, ასევე ცეკვის ანსამბლი „ვარსკვლავები“ ნათია ცინცაძის ხელმძღვანელობით.

ქეთევან მჭედლიშვილი, ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ხელმძღვანელი და სათემო ცენტრის „ხორნაბუჯი-თამარის ციხე“ კოორდინატორი: „მუზეუმის შენობაში არის ქალთა და ახალგაზრდობის სათემო ცენტრი - „ხორნაბუჯი-თამარის ციხე“. სათემო ცენტრის განვითარებას და მდგრადობას ხელს უწყობენ CSRDG საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი და „საგას“ წარმომადგენლები. მათი დახმარებით ეზოში გავაკეთეთ ტყუპი ფანჩატურები, გვაქვს ასევე სათემო ცენტრის ოთახი, სივრცე, რომელიც მეორე პროექტით განვახორციელეთ. ცოტა ხნის წინ დავიწყეთ ახალ პროექტზე „მომავლის ხედვის კინოთეატრზე“ მუშაობა, რომელშიც ახალგაზრდები, მომავალი თაობა- თათია სეხნიაშვილი, თეონა სეხნიაშვილი, სოფიკო ბიბილაური ჩაერთვნენ. მათ სურვილი აქვთ, რომ კინოჩვენებები ყველა თაობის წარმომადგენლებისთვის მოაწყონ. როგორც იცით, სოფელ ხორნაბუჯში 17 ეროვნების მოსახლე ცხოვრობს. მათი დაახლოებისთვის, აუცილებელია შეხვედრები და აზრთა გაზიარება, კულტურული ღონისძიებები, საინტერესო კინოჩვენებები. მუზეუმის ისტორია ბევრმა თქვენგანმა იცის. ეს ეზო ბევრი გამოჩენილი ადამიანის ნაფეხურებს ინახავს მე-19 საუკუნიდან დღემდე. ჩვენც ვაგრძელებთ მაშინდელ სალონურ ცხოვრებას. ახლაც, ჩვენი კარი ყველასთვის ღიაა,

ვისაც ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი აინტერესებს, სწორედ ამ მიზანს ემსაზურება პროექტი „მომავლის ხედვის კინოთეატრიც“. მადლობა ყველას, ვინც გვეხმარება და თავისი წვლილი შეაქვს მომავლის შენებაში, CSRDG-ს, „საგას“, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრს, სოფლის საკრებულოს წარმომადგენლებს, ყველა მონაწილეს: მოცეკვავეებს, მომღერლებს, დიდსა თუ პატარას. ჩვენი მხრიდან ძალისხმევას არ დავიშურებთ, რომ განვვითარდეთ, შემოვიკრიბოთ ახალი თაობა, მეზობელი სოფლების მოსახლეობა და ვუმასპინძლოთ ტურისტებს, თეატრებს კინოთეატრებს, ცეკვის და სიმღერის ანსამბლებს, ტრენინგებს, პრეზენტაციებს, გამოფენებსა და ჩამოსულ სტუმრებს. ველით ინიციატივებს“.

სოფო ბიბილაური, პროექტის თანაავტორი: „იდეა თავიდანვე საინტერესო იყო, რადგან მსგავსი გასართობი სივრცე არამარტო ხორნაბუჯში, არამედ მთელს მუნიციპალიტეტშიც კი არ გვაქვს. ადგილი სადაც ახალგაზრდები გამართავენ შეხვედრებს, მოაწყობენ კინოჩვენებებს, უფროს თაობასთან ერთად დაგეგმავენ კულტურულ ღონისძიებებს, მოაწყობენ პრეზენტაციებს. აქედან გამომდინარე, პროექტის დაწერა რთული არ ყოფილა, იმიტომ, რომ კონკრეტული მიზანი და ამოცანები გვქონდა დასახული. რამდენიმე დაბრკოლება ძირითადად ფინანსური გადარიცხვებისა და შესყიდვების პროცესში შეგვხვდა, სხვა მხრივ გუნდმა ძალიან კოორდინირებულად და სწორად იმუშავა. სამომავლოდ, რა თქმა უნდა, ვგეგმავთ აქტიურ მუშაობას, უკვე გვაქვს რამდენიმე ინიციატივა სკოლების მხრიდან სხვადასხვა ღონისძიების მოწყობისთვის სივრცის გამოყენებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისა და ამ სივრცის სრულად ასათვისებლად, არამარტო ზამთრის, არამედ გაზაფხულისთვისაც. ეს პროცესი გამოცდილებასთან ერთად, დიდი სიხარულიცაა, რადგან ამ პროექტმა ახალი თაობაც მოიზიდა და სათემო ცხოვრებაში მათი აქტიურობაც გაიზარდა“.

გაზეთი „შირაქი“ წარმატებებს, საინტერესო, ნაყოფიერ მუშაობასა და ახალი თაობის წარმომადგენელთა სიმრავლეს უსურვებს „მომავლის ხედვის კინოთეატრს“. სასიხარულოა მსგავსი სივრცეების ჩვენს მუნიციპალიტეტში გამოჩენა და გააქტიურება, რადგან არაფორმალური განათლება და აქტიურობა პიროვნული განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაცაა.

მდგრადი სოფლის მეურნეობისთვის

28-29 ოქტომბერს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯში, საინიციატივო ჯგუფის „ქალები გარემოსდაცვითი გამოწვევების წინააღმდეგ“ ინიციატივით ჩატარდა ტრენინგი სახელწოდებით „მდგრადი სოფლის მეურნეობა“, რომელსაც მუნიციპალიტეტში შემავალი სხვადასხვა სოფლის ადგილობრივი მკვიდრი ქალები ესწრებოდნენ.

მოწვეულმა ტრენერმა, აგროეკოლოგიის ექსპერტ-კონსულტანტმა, **ინგა ბაშიროვმა**, მონაწილეებს ყველა იმ საჭირო თემაზე მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც ნიადაგების მოვლისა და გაჯანსაღების ბიო ხერხებს მოიცავდა. მან ასევე ისაუბრა იმ ბიოპროცესებზე, რომლებიც ჩვენი მეურნეობების მოვლის პროცესში მნიშვნელოვან და გადამწყვეტ როლს ასრულებენ, ორგანიზმებზე, რომლებიც გვეხმარებიან ნიადაგის სიჯანსაღის შენარჩუნებასა და ბიოპროდუქტის წარმოებაში. ინგა ბაშიროვმა დამსწრეებს თავისი წიგნი „დამხმარე მცენარეები ორგანულ მეურნეობებში“ გადასცა, სადაც დეტალურადაა აღწერილი ის მცენარეები, რომლებიც გვეხმარებიან ჩვენი მეურნეობების ზედმეტი ქიმიკატების გარეშე, ბუნებრივი საშუალებებით გაჯანსაღებასა და გაზრდაში. ორივე დღე საინტერესო გამოდგა დამსწრე საზოგადოებისთვის, რადგან მათ კითხვა-პასუხის რეჟიმში ამომწურავად მიიღეს ყველა საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც მათი მეურნეობების მოვლის პროცესს უფრო ეკოლოგიურად ჯანსაღს და სუფთას გახდის.



მარიამ ხვედელიძე, საინიციატივო ჯგუფის „ქალები გარემოსდაცვითი გამოწვევების წინააღმდეგ“ წარმომადგენელი: „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, საინიციატივო ჯგუფმა „ქალები გარემოსდაცვითი გამოწვევების წინააღმდეგ ორდღიანი ტრენინგი ჩაატარა, რომელიც მდგრადი სოფლის მეურნობის პრაქტიკებს ეხებოდა. ტრენინგი ჩაატარა მოწვეულმა ტრენერმა, ქალბატონმა ინგა ბაშიროვმა, რომელიც პარალელურად ბიომეურნეობის მფლობელია და მდგრადი თუ კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მიმართულებით


Glukoza
ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔ ᲛᲪᲜᲐᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ
ᲕᲘᲢᲐᲛᲘᲜᲘᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲘᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡᲘᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡᲘᲡᲘᲡᲢᲔᲛ

როგორ დავამარცხოთ ლუდომანია

მთავრობის ახალი ინიციატივა

საქართველოში აზარტული თამაშების თემა კვლავ აქტუალურია. აზარტული თამაშების შეზღუდვის მიზნით, ხელისუფლებამ წინა წლებში ბევრი რეგულაცია შემოიღო, მაგრამ სასურველ შედეგამდე ჯერ კიდევ შორია.

2019 წლის მონაცემებით, სათამაშო ბიზნესის ბრუნვა 2018 წლის მონაცემებთან შედარებით 87%-ითაა გაზრდილი. 2019 წლის მონაცემებით, საქართველოში ბიზნეს-სექტორის ბრუნვის 24%-ს სწორედ, კომერციული გემბლინგი შეადგენს (BPN.GE, 2020).

3 ნოემბრის მთავრობის სხდომაზე, პრემიერ-მინისტრი აზარტულ თამაშებს შეეხო. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, სათამაშო ბიზნესის ბრუნვა იზრდება, რაც ნიშნავს იმას, რომ ძალიან ბევრი მოქალაქე ჯერ კიდევ ჩართულია ამ ბიზნესში.

„მინდა ერთი მხრივ გაკვირვება გამოვხატო და მეორე მხრივ მწუხარება, რომ სათამაშო ბიზნესის ბრუნვა იზრდება. მე ეს ნამდვილად არ მიხარია, იმიტომ რომ ძალიან ბევრი მოქალაქე ჯერ კიდევ ჩართულია სათამაშო ბიზნესში.

ცნობისთვის, 2022 წელს 48 მილიარდიდან 52 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სათამაშო ბიზნესის მთლიანი ბრუნვა, რაც კატასტროფული მაჩვენებელია. ამდენი ადამიანი ჯერ კიდევ ჩართულია ამ ბიზნესში.

იცით, რომ შარშან მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიტანეთ, როცა ავკრძალეთ რეკლამა და 25 წლამდე შევუზღუდეთ ჩვენს მოქალაქეებს სათამაშო ბიზნესში მონაწილეობა. ავტომატურად 1 500 000 მოქალაქეს სათამაშო ბიზნესში მონაწილეობა შეეზღუდა. ამის მიუხედავად, ვხედავთ, რომ კვლავ ძალიან ბევრი მოქალაქეა ჩართული.

შესაბამისად, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გავუზარდოთ გადასახადები ამ ბიზნესს“-განაცხადა პრემიერმა.

როდის გაჩნდა აზარტული თამაშები, უცნობია. ითვლება, რომ ისინი სხვადასხვა ფორმით ისტორიის ყველა ეტაპზე არსებობდა. ამ თითქოსდა უწყინარი გასართობის უკან დგას პრობლემა-ლუდომანია, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, რომელიც მოიცავს მოთამაშის დაკარგულ წლებს, მევალეების, ბანკებისა და ლომბარდების გრძელ სიას, შინიდან მოპარულ და მალულად გაყიდულ ნივთებს, დანგრეულ ურთიერთობებს, ხშირად სუიციდსა თუ მის მცდელობას, დაუსრულებელ ჭიდილს საკუთარ თავთან.

დაავადება თუ მავნე ჩვევა

- ლუდომანია, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, ისევე როგორც წამალდამოკიდებულება, ალკოჰოლიზმი და სხვა ადიქციები, ქცევითი დარღვევაა, რომელსაც დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციით (ICD) მინიჭებული აქვს კოდი F63, ამიტომ ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება დაავადებაა და არა უბრალოდ მავნე ჩვევა. ადიქციების მთავარი პრობლემა, საზოგადოდ, ფსიქოლოგიურ ფაქტორს უკავშირდება, თუმცა მათ, როგორც წესი, ფიზიკური აბსტინენციაც, ე.წ. ლომკაც ახლავთ თან, აზარტული თამაშების შემთხვევაში კი დამოკიდებულება მხოლოდ ფსიქოლოგიურია, რადგან აქ არ არსებობს არავითარი ქიმიური ნივთიერება, რომელზეც შეიძლება ფიზიკური დამოკიდებულება ჩამოყალიბდეს. სწორედ ეს განასხვავებს აზარტომანიას სხვა ადიქციებისგან და განაპირობებს მკურნალობის სირთულეს, რაც, უპირველეს ყოვლისა, პრობლემის აღიარების პროცესის გაჭიანურების ბრალია.

როგორ ყალიბდება

- მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სახის დამოკიდებულება დაავადებათა ერთ ჯგუფში ერთიანდება, მათ შორის არსებობს განსვავებათა წყება. როგორც აღვნიშნეთ, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება არ უკავშირდება არავითარ ქიმიური ნივთიერებას, თუმცა თავის ტვინში ისეთივე ცვლილებები მიმდინარეობს როგორიც ნარკოტიკზე ან ალკოჰოლზე დამოკიდებულების დროს. წამყვან როლს აქ ფსიქოლოგიური დამოკიდებულება ასრულებს.

ზუსტი მიზეზი, რის გამოც ვითარდება ამა თუ იმ სახის ადიქცია, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ არც ერთი ქცევითი დარღვევა არ ჩნდება ჰაერზე, წესისამებრ, ის მეორეულია და შესაძლოა, თან ახლდეს ამა თუ იმ ფსიქიკურ პრობლემას - ფსიქოტრავმას, დაბალ თვითშეფასებას, ან გამოყენებულ იქნეს სხვა პრობლემის, მაგალითად, დეპრესიის გადასაფარავად, სხვა ადიქციის ჩასანაცვლებლად და ა.შ.

აზარტულ თამაშს გასართობად იწყებენ, თუმცა, სამწუხაროდ, ხშირად ის მიჯაჭვულობაში, თამაშის მანიურ მოთხოვნილებაში გადაიზრდება. ეს პროცესი რამდენიმე სტადიას მოიცავს. პირველია მოხიბვლა, როდესაც აღმოაჩენ, რომ მარტივად „შოულობ“ ფულს, თითქოს ციდან ცვივა. ეს ეტაპი, ჩვეულებრივ, უფრო მძაფრად მიმდინარეობს მოზარდებსა და ახალგაზრდებთან. შემდეგ იწყება რაღაცების დამალვა არა მხოლოდ სოციუმისთვის, არამედ საკუთარი თავისთვისაც, არ ტყდები, რომ უფრო და უფრო ხშირად გინდება თამაში, ეს პრობლემად არ მიგაჩნია და გჯერა, რომ მარტივად დაანებებ თავს. გარკვეული ხნის შემდეგ დგება სტადია, როდესაც პრობლემას გაიაზრებ და აღიარებ, რასაც მალევე მოჰყვება თვითდადანაშაულების სტადია.

უნდა ითქვას, რომ მეტ-ნაკლებად ყოველგვარი სახის ადიქციას ახასიათებს თვითგვემა, მაგრამ ლუდომანიაში ის განსაკუთრებით მძაფრად მჟღავნდება. ამ დროს აზარტომანი იდანაშაულებს, ებრძვის თავს, ცდილობს, მოერიოს ცდუნებას, მაგრამ თუ პრობლემა მკაფიოდ არ არის გააზრებული და პაციენტს სწორი მიმართულება არ აქვს მიცემული, ეს

პროცესი მანკიერ წრეს ემსგავსება და ხშირად ყველაფერი თავიდან იწყება.

როგორ ამოვიცნოთ

- ლუდომანია არცთუ ისე ძნელი ამოსაცნობია, განსაკუთრებით - ოჯახის წევრებისთვის. მთავარია, თვალი არ დავხუჭოთ თითქოსდა პატარა-პატარა პრობლემებზე, რომლებსაც საბოლოოდ დიდ პრობლემასთან მივყავართ. აზარტულ თამაშებზე დამოკიდებლი ადამიანები, როგორც წესი, იკეტებიან, წყვეტენ სოციუმთან კონტაქტს, აგრესიულები ხდებიან, ღიზიანდებიან იმაზე, რაც წინათ არ აბრაზებდათ. ვინაიდან გემბლინგი (აზარტული თამაში) პირდაპირ კავშირშია ფულთან, ლუდომანებს უგროვდებათ ვალები, მიუხედავად მუდმივი შემოსავლისა, ფული არასდროს ჰყოფნით და დამატებით თანხებს ითხოვენ ოჯახის წევრებისგან, ხშირად მიმართავენ ლომბარდს.

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანები ეჯახებიან ჯანმრთელობის პრობლემებსაც - მძიმე დეპრესიდან სუიციდურ აზრებამდე, ენგრევათ ფსიქიკა, კარგავენ არსებულ სოციალურ როლს. მათ თავის ტვინში, როგორც აღვნიშნეთ, ისეთივე ცვლილებები მიმდინარეობს, როგორიც ნარკოტიკებზე ან ალკოჰოლზე დამოკიდებულ პირებთან; ზიანდება თავის ტვინის ქერქი და ლიმბური ცენტრი, რომელიც ჩართულია დასწავლის, მეხსიერების, მოტივაციისა და ემოციურ პროცესებში.

ოჯახის როლი

- ამ პრობლემის მქონე პირთა ცხოვრებაში ოჯახის როლი, რა თქმა უნდა, დიდია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ როდესაც ოჯახის ერთ-ერთი წევრი რამეზეა დამოკიდებული, დანარჩენი წევრები თანადამოკიდებულ პირებად ითვლებინ. მათაც აქვთ ფსიქოლოგიური პრობლემები, მუდმივად აწუხებთ ეჭვი, დაძაბულობა, ცხოვრობენ სტრესულ პირობებში. აქვე დავძენ, რომ დახმარება არ უნდა აგვერიოს დათვურ სამსახურში - ხელი არ დავაფაროთ თამაშზე დამოკიდებული პირის დესტრუქციულ ქცევას, არ მოვუგვაროთ პრობლემები, თუნდაც ფინასური, თუმცა არც გამუდმებით ვამუნათოთ დამოკიდებულების გამო, სცენები არ მოვუწყოთ - ეს ყველაფერი არათუ ვერ დაეხმარება, არამედ გააღრმავებს კიდეც პრობლემას. უკეთესი იქნება, ოჯახის წევრებმა მოიძიონ ინფორმაცია და კარგად გაერკვიონ, რასთან აქვთ საქმე, გაითვალისწინონ თამაშზე დამოკიდებული პირის პიროვნული თვისებები, ეცადონ, მიიყვანონ პრობლემის აღიარებამდე (თუ არ აღიარებს) და ამის შემდეგ იზრუნონ მკურნალობაზე.

მკურნალობა

- მკურნალობაში წამყვანი ადგილი უკავია ფსიქოთერაპიას, როგორც ინდივიდუალურს, ასევე ჯგუფურს. ყოველთვის არა, მაგრამ ხშირად საჭიროა მედიკამენტური ჩარევაც წინა პლანზე წამოწეული დეპრესიის, უძილობის, შფოთვის, აგრესიულ-დესტრუქციული ქცევის გამო.

არსებობს თუ არა ყოფილი მოთამაშე?

- ის, რომ ყოფილი ნარკომანი ან ყოფილი ლუდომანი არ არსებობს, სტიგმაა, ყოველგვარი სტიგმა კი ინფორმაციის ნაკლებობის შედეგია. ლუდომანია ქრონიკული დაავადება, მისგან ასი პროცენტით განკურნება შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია რემისიის მიღწევა, რომელიც შეიძლება სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდეს. მთავარია პაციენტის მონდომება, მისი უნარი, დასვას წერტილი, რაც მედიცინის ენაზე რემისიაა, ხოლო პაციენტის რეალობაში განკურნებას ნიშნავს.

მდგომარეობა საქართველოში

- ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრი „კამარა“ უკვე ათი წელია ფუნქციონირებს და ეხმარება სხვადასხვა ადიქციის მქონე პირებს, თუმცა ბოლო ორი წელია, საგრძნობლად იმატა აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულთა მომართვიანობამ. ერთი მხრივ, ამის მიზეზი საზოგადოებაში ცნობიერების დონის ამაღლებაა - თამაშზე დამოკიდებულებას უბრალოდ მავნე ჩვევად აღარ მიიჩნევენ, მეორე მხრივ კი უამრავი მიზეზი უწყობს ხელს ლუდომანიის გავრცელებას, მათ შორის სამკურნალო სერვისების დეფიციტი და ა.შ. პრობლემა იმდენად მასშტაბურია, რომ კომპლექსური მიდგომის გარეშე ვერ მოგვარდება. იმედს ვიტოვებ, უახლოეს მომავალში ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება.

როგორ დავიცვათ მომავალი თაობა

- გემბლინგისთვის განსაკუთრებით მოწყვლადია გარდატეხის ასაკი, როდესაც ჩვეულებრივი რამაა ექსპერიმენტები, ამბოხება, აკრძალული ხილისკენ სწრაფვა... ამიტომ სასურველია, მოზარდმა იმთავითვე იცოდეს, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ამ თითქოსდა უწყინარმა გართობამ. ამაზე საუბრის დაწყება 8-9 წლიდანვე შეიძლება. თუმცა კარგი იქნება, წინასწარ სპეციალისტთან გავიაროთ კონსულტაცია, რათა პრევენციის ნაცვლად წახალისება არ გამოგვივიდეს და ბავშვს აზარტული თამაშებისადმი ინტერესი არ აღვუძრათ.

და ბოლოს

- აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანების ორი ტიპი არსებობს. ერთნი არ აღიარებენ პრობლემას. ასეთ ადამიანებს ვუსურვებ, რაც შეიძლება მალე გამოუტყდნენ საკუთარ თავს, რომ დახმარება სჭირდებათ, რადგან რაც უფრო ადრე დავიწყებთ ბრძოლას, მით უფრო ადვილად დავამარცხებთ ავადმყოფობას.

თამაშზე დამოკიდებულთა მეორე ნაწილს, რომლებსაც ჰგონიათ, რომ გამოსავალი არ არსებობს და აპათიაში არიან, მინდა ვუთხრა, რომ გამოსავალი არსებობს! ბევრმა დაამარცხა ეს სენი და ახალი ცხოვრება დაიწყო. მეტად მოინდომეთ, იმუშავეთ საკუთარ თავზე და მერწმუნეთ, შედეგიც არ დააყოვნებს.

მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

რატომ ვჭამთ მაშინ, როდესაც მოწყენილები ვართ?

როცა მოწყენილი ხართ, პირველი მაცივარი გახსენდებათ? ემოციური შიმშილი მხოლოდ თქვენ არ განუხებთ, მოწყენილობას ბევრი ადამიანი საკვებით ებრძვის და სამწუხაროდ, შემდეგ ზედმეტ კილოგრამებთან გამკლავება უწევს.

რა არის ემოციური შიმშილი?

ფსიქოლოგების განმარტებით, ემოციური შიმშილი არის მდგომარეობა, როდესაც ადამიანი საკვებს იღებს სტრესული სიტუაციის ფონზე. შეიძლება მიირთმევდეთ მოწყენილობის გამო, სამსახურში მძიმე დღის შემდეგ - ერთი სიტყვით საკვებს იღებთ, თუმცა არ გშიათ.

ემოციური შიმშილის გამომწვევი მიზეზებია:

•სტრესი;

•მოწყენილობა. დიახ, ეს ყველაზე გავრცელებული მიზეზია. როცა ადამიანს საქმე არ აქვს, მოწყენილია და დროის გაყვანა სურს, როგორც წესი, უმეტესად საკვები ახსენდება;

•შეიძლება ემოციური შიმშილის მიზეზი ნოსტალგია, ტკბილი მოგონება იყოს. მაგალითად, უეცრად გაგახსენდათ ბავშვობა და გემრიელი ნაყინი, რომელსაც ბაბუა გყიდულობდათ;

•დაღლილობა;

•გარემო. რთულია პიცაზე უარი თქვა, როდესაც ოჯახის წევრები ან მეგობრები გემრიელად სადილობენ.

ემოციური შიმშილის დასაკმაყოფილებლად ადამიანები ჭარბი რაოდენობით საკვებს მიირთმევენ და როგორც წესი, რაციონი არაჯანსაღია.

თუ ემოციური შიმშილისთვის დამახასიათებელი სიმპტომები ხშირად გაწუხებთ, რეკომენდებულია მიმართოთ შესაბამის სპეციალისტს.

ემოციური შიმშილი და ფიზიკური შიმშილი - როგორ მივხვდეთ გვშია თუ უბრალოდ მოწყენილები ვართ?

ფსიქოლოგების განმარტებით, ძალიან მარტივია ემოციური შიმშილი ფიზიკურ შიმშილში აგვერიოს. თუმცა რიგი მახასიათებლებით შეგვიძლია ერთმანეთისგან განვასხვავოთ როგორც ემოციური, ისე ფიზიკური შიმშილი.

შიმშილის გრძნობა სწრაფად აღმოცენდა თუ დროთა განმავლობაში?

ემოციური შიმშილი სწრაფად და მოულოდნელად ჩნდება.

გინდათ,რომ მიირთვათ კონკრეტული, სპეციფიკური საკვები?

ჩვეულებრივ, ემოციური შიმშილისას „გეპატიჟებათ“ სწრაფი კვების პროდუქტები ან არაჯანსაღი რაციონი. ფიზიკური შიმშილის დროს კი, ორგანიზმს სჭირდება საკვები (ნებისმიერი, რაც გაქვთ სამზარეულოში).

არ უფიქრდებით რას მიირთმევთ?

გქონიათ შემთხვევა, როდესაც მექანიკურად გიჭამიათ, ანუ ყურადღება არ მიგიქცევიათ თუ კონკრეტულ მომენტში რას მიირთმევდით? მაგალითად, ტელევიზორის ყურების დროს მთლიანი ნაყინი ისე შემოგეჭამათ, ვერც კი გაიაზრეთ. სწორედ ეს არის ემოციური შიმშილი.

შიმშილის გრძნობა კუჭიდან მოდის თუ ტვინიდან?

თუ კონკრეტული საკვები გაგახსენდათ და გაიფიქრეთ ეს უნდა მივირთვაო, თქვენ ემოციური შიმშილი გაქვთ.

საკვების მიღების შემდეგ თავი დამნაშავედ გიგრძვნიათ ან გინანიათ?

ემოციური შიმშილის შემდეგ ადამიანებს ხშირად აქვთ დანაშაულის შეგრძნება, განიცდიან, ბევრი რომ მიირთვეს.

გახსოვდეთ, ფიზიკური შიმშილის დროს ორგანიზმი მხოლოდ რეკომენდებული დოზით საკვებს გთხოვთ და დანაყრების შემდეგ უარყოფითი შეგრძნება არასდროს გრჩებათ.

ფიზიკური შიმშილი

ორგანიზმის სასიცოცხლო უნარის შესანარჩუნებლად საჭიროა მრავალი კალორია, საკვები ნივთიერება, მიკროელემენტი. შიმშილის ბუნებრივი გრძნობა - ესაა ტვინის სიგნალი, რომ ორგანიზმს არ ჰყოფნის საკვები და ჟანგბადი. სხეულში მცირდება ბევრი ქიმიური პროცესი, ამიტომ ადამიანი ხდება გონებაგაფანტული, გაღიზიანებული, აღგზნებული. ფიზიოლოგიური შიმშილი - ეს მრავალი რთული პროცესის ჯაჭვია. სანამ ამ შეგრძნებას მუცელში იგრძნობთ, მანამდე მცირდება შაქრის დონე, ნელდება მეტაბოლიზმი, იცვლება სისხლის ბევრი მაჩვენებელი. სამწუხაროდ, ადამიანები ყოველთვის ვერ აკონტროლებენ სიმაძღრის გრძნობას, ყურადღებას მათ გაჯეტები და ტელევიზორი უფანტავს და ამიტომ ბევრს ჭამენ. ფიზიკური შიმშილის დამახასიათებელი შეგრძნებებია:

• შიმშილის გრძნობა მოდის თანდათანობით;

•გშია ნებისმიერი საკვები;

•გრძნობ დანაყრებას და შეგიძლია შეწყვიტო ჭამა;

•საკვების მიღების შემდეგ არ გრძნობ თავს ცუდად;

გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, მოსახლეობაში ამ ორი მდგომარეობიდან რომელია უფრო მეტად გავრცელებული. გამოკითხულთაგან უმეტესობამ აღნიშნა, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც გამოუცდია ემოციური შიმშილი, გაუაზრებლად, სრულიად უმიზეზოდ ტკბილეულის ანდაც წასახემსებლის მექანიკური მირთმევა, სტრესული ფონის, მოწყენილობისა და გარემოსგან გამოწვეული ზემოქმედების შემსუბუქება ანდაც საკვებით დაძლევა. გამოკითხულმა საზოგადოებამ, ემოციური შიმშილის მიზეზად, პირადი გამოცდილებით, სწორედ სტრესი, მოწყენილობა, დაღლილობა, გარემო დაასახელა.

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ფსიქოლოგიური შიმშილი საშიში დამოკიდებულებაა, რომლის დამარცხებაც პროფესიული დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე რთულია. საჭიროა, რომ აღიაროთ პრობლემა, დაიწყოთ მუშაობა მის გადასაჭრელად. უნდა შეწყვიტოთ ემოციების საჭმელით ჩანაცვლება. გაიმდიდრეთ ცხოვრება პოზიტიური ურთიერთობებით, სასარგებლო საქმეებით, რათა სტრესისგან გათავისუფლდეთ.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

პიროვნების სუბიექტურობა და მისი მნიშვნელობა

პიროვნება, მისი მომწიფების გზაზე რამდენიმე უხილავ, გარდამტეხ ეტაპს გადის: ჩვილობის და ბავშვობის წლები-როცა ის მთლიანად დამოკიდებულია მშობლებზე. ისინი ერთგვარ კერპებს წარმოადგენენ და ეს ფაქტი არათუ პროტესტის, არამედ სიამოვნების უწყვეტ ტალღებს წარმოშობს მასში. მოზარდობისას, გარდატეხის ასაკში, როცა ბავშვობის და ახალგაზრდობის გზაგასაყარზე ჩნდება წასვლის, გაქცევის აუხსნელი სურვილი და უმიზეზო ამბოხი მშობლებთან. თუმცა ახალი, თოთო პიროვნება ქვეცნობიერად გრძნობს, რომ მისი დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა, და ახალგაზრდობის გზაფხულზე - როცა მშობელი შვილისთვის ჯერ კიდევ ერთგვარი ღმერთის ჰიპოსტასია და მშობლებზე მიჯაჭვულ და თავისუფლების წყურვილით ამღვრეულ შვილს, საკუთარი, უკვე მუხლმომაგრებული ეგო უბიძგებს, ეძებოს საკუთარი თავისუფლება ყველგან, ყველა გზით.

სწორედ ამ მესამე, უმნიშვნელოვანეს, გარდამტეხ ეტაპზე, მასთან მოდის მშობლისგან განყოფის, გაპიროვნების და სრული დამოუკიდებლობის დაუძლეველი სურვილი. ადამიანის ცხოვრებაში ეს ყველაზე მძლავრი ნაბიჯია თავისუფლებისკენ - სუბიექტურ პიროვნებად ქცევის დიდებული აქტი, რომელიც, თავის სილამაზით, ბუნებაში შეიძლება შევადაროთ ჭუპრის პეპლად ქცევას, ბარტყის ბუდიდან გაფრენას. ძველ ბერძნულ მითოლოგიაში, ჰესიოდე ამ აქტს აღწერს, როგორც მამის (მშობლის) მკვლელობას. ესაა აქტი, როდესაც ჩვეულებრივ, ერთი შეხედვით უწყინარ და მშვიდ ადამიანებს შეუძლიათ ხმაურით გახლიჩონ კავშირი მშობლებთან, მაგრამ, სამწუხაროდ ხშირად ასე არ ხდება. ზოგიერთი ჩვენგანი - იშვიათად საკუთარი სურვილით, ხშირად კი მშობლის დაჟინებით - რჩება მშობლებთან მიჯაჭვულ მდგომარეობაში და განყოფის აქტი ვერ დგება. ცუდია მოსმენა, როცა 20 და მეტი წლის ახალგაზრდა ამბობს - „ მამა, კი, შენ ყველაფერში მართალი ხარ, მე არ მაქვს არაფერი შენი აზრის საწინააღმდეგო, ახლაც და ყოველთვის იყოს ისე, როგორც შენ იტყვი, როგორც შენ გსურს “ - აღბათ არ არსებობს იმაზე დიდი მტრობა, როცა მშობელი საკუთარ შვილს არ აძლევს საშუალებას, გახდეს დამოუკიდებელი პიროვნება. ასეთი მშობელი შვილისგან მოითხოვს უპირობო აღიარებას, მისი მითითებების შესრულებას და მოვლას მაშინაც კი, როცა უძლურებამდე ჯერ ძალიან შორია. ყოველდღიურობა გაჯერებულია პრეტენზიებით და ჭირვეულობით, თითქოს ის ამბობს - „მე ვარ შენი კერპი, არ გაბედო და შეწყვიტო ჩემი თაყვანისცემა“. ადამიანის საუკეთესო წლები და ასო-ასოდ დარღვეული მისი ეგო არის მსხვერპლი ამ უღმობელი კერპის წინაშე. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ყველა კერპი იმსხვრევა და ეს კარგად უწყის შვილმაც. ის ჩუმად, მოთმინებით ელოდება მისი ცხოვრების „მიმტაცებელი“ მშობლის გარდაცვალებას იმ ფიქრით, რომ ამის შემდეგ მაინც მიიღებს სანუკვარ თავისუფლებას, შეძლებს ააწყოს დამოუკიდებელი ცხოვრება. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ ხდება. როგორც წესი, ამგვარი, შვილების ცხოვრებით მოთამაშე მშობლის გარდაცვალება არაფერს ცვლის. მშობლის პიროვნება იმდენად არის შეზრდილი, რომ აგრძელებს ცხოვრებას მისგან დაზიანებულ შვილში, რომელიც უკვე არათუ ემორჩილება, არამედ გამუდმებით ებრძვის მას, ეძებს მის ხატებას სხვაში, რომ დასაჯოს წართმეული თავისუფლების გამო და როგორც წესი, პოულობს მას თავის უდანაშაულო შვილში. ასე იქმნება ადამიანების ცხოვრებაში ტრაგიკული, ჩაკეტილი წრე, რომელსაც თაობები ეწირებიან და რომლის გარღვევასაც მხოლოდ ერთეულები ახერხებენ. ბუნების, ღმერთის კანონია - არა მხოლოდ ადამიანი, არამედ ყველა მომწიფებული, ცოცხალი არსება უნდა გახდეს ყველასგან - პირველ რიგში მშობლებიგან - დამოუკიდებელი, საკუთარი ავტონომიის მფლობელი.

მშობლებო, გაუშვით თქვენი შვილები მსგავსად მერცხლისა, რომელიც პირველი გაფრენის წინ, თავის შეშინებულ ბარტყს ნისკარტით უბიძგებს ხოლმე ზურგში - მერცხალი ხვდება, რომ ბარტყმა აუცილებლად უნდა ისწავლოს ფრენა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას გარდაუვალი სიკვდილი ელოდება. მშობლის სიკვდილის შემდეგ, უკვე ზრდასრული ადამიანი, რომელიც მარადიულ შვილად რჩება, უსუსურია ცხოვრებისეული გამოწვევების წინაშე. ამიტომ, რაც მალე გავუშვებთ შვილებს ხელს და ადრეულ ასაკში ისწავლიან ისინი წაქცევას და ფეხზე წამოდგომას, მით მეტად დამოუკიდებლები და წარმატებულები გახდებიან.

ფილი და როდინი – ექსპონატით მოყოლილი ისტორია

რა არის კორკოტი, როგორ ამზადებდნენ და რა ტრადიციას უკავშირდება მისი მომზადება?

ფილი და როდინი საჭმლის საკმაზი სუნელის და მარილის დასანაყი ხელით სამუშაო იარაღია, მაგრამ ოდნავ განსხვავებული მოცულობის ფილს და როდინს სხვა ფუნქცია ჰქონდა. ფილი და როდინი ძირითადად ფუნქციადაკარგული იარაღებია და უკანასკნელ დღეებს ითვლიან.

რა არის კორკოტი, რატომ და როგორ აკეთებენ მას? კორკოტისთვის საუკეთესო ხორბალი დოლის, ან უფხო პურის რომელიმე სახეობა ითვლება. კორკოტის ფაფას მაძღარი, სრული მარცვლისგან აკეთებდნენ, ამიტომ მას კალოზე გადაარჩევდნენ და მისთვის განკუთვნილ ჭურჭელში შეინახავდნენ. როცა ფაფის მომზადება დასჭირდებოდათ, ხორბალს ღამე წყალში დაალბობდნენ (ზოგი თბილ წყალში), დილით ამოიღებდნენ, გარეცხავდნენ და მზეზე, ან ცეცხლთან გასაშრობად გაფენდნენ. გამშრალ ხორბალს მოფშვნეტავდნენ, ტაბაკით (ტაბაკი — ხის მოგრძო თეფში, გამოთლილი მთლიანი ხისგან. იყენებდნენ ხორბლის გასასუფთავებლად) აბერტყავდნენ, ფერფლს მოაშორებდნენ და დანაყავდნენ. კორკოტის ხორბალი ქვის, ან ხის ფილთაქვით, სანაყით, ნაწილ-ნაწილ მზადდებოდა. ერთ ჯერზე ნახევარი ჯამი უნდა დაენაყათ და შემდეგ გადაებერტყათ. თუ ხორბალი არ იყო კარგად კანგაცლილი, მას ისევ დაამუშავებდნენ და გაბერტყავდნენ. შემდეგ უსმელ წყალს, უმძრახად მოიტანდნენ, ხორბალს გარეცხავდნენ და ვიდრე ფრინველი გადმოვიდოდა, ამ წყლით მოსახარშად დადგამდნენ. დიასახლისი ქვაბში მიცვალებულის სახელზე მუჭით ხორბალს ჩაყრიდა. ხორბალი იმდენი უნდა ჩაეყარათ, რამდენი მიცვალებულისთვისაც იყო განკუთვნილი. ზოგი კორკოტის პირველ ნადუღარ წყალს გადაღვრიდა, მას სხვა ადუღებულ წყალში გადაიღებდა და დუღილის დაწყებიდან მოხარშვამდე ციცხვით ნელა მოურევდა.

წესის მიხედვით, კორკოტი ორი დღე მზადდებოდა. პირველ დღეს ხარშვის დროს, ზოგჯერ მასთან ერთად დაჭრილ ხახვს მოხარშავდნენ. გადმოცემის მიხედვით, ხახვიანი ხორბალი „ლაბოს“ უშვებს და ხორბალი უფრო გემრიელია. მოხარშულ ხორბალს ცეცხლიდან გადმოდგამდნენ და მეორე დილით კვლავ ნელ ცეცხლზე დგამდნენ. მერე ხახვს ერბოში, ზეთში, ცხვრის, ან ღორის ქონში დადაღავდნენ და კორკოტს მარილითა და ცხიმით შეაზავებდნენ. ცხიმს იმის მიხედვით იყენებდნენ, თუ რა პერიოდი იყო. მარხვაში კორკოტი ზეთით, ან ზეთითა და ნიგვზით მზადდებოდა. სახსნილო კორკოტს კი სურვილის და შესაძლებლობების მიხედვით შეანელებდნენ.

კორკოტის ხარშვის დროს წესად იყო მიჩნეული, მიცვალებულის სახელზე ქვაბის ნაპირზე, ან ახლოს სანთლის ანთება. დიასახლისი სანთელთან იტყოდა: მიაგებოს ჩვენს მკვდრებსო. შემდეგ კი ხმამაღლა ამოუღებლივ იმ მიცვალებულის სახელს ჩაუთქვამდა, რომლისთვისაც კორკოტი იყო განკუთვნილი. მეორე დილით დამზადებულ კორკოტს პატარა ჯამით მეზობლებს მიუტანდა, რომ მიცვალებულისთვის შენდობა ეთქვათ.

კორკოტს ყველა ოჯახი ამზადებდა შობას, დიდ სულთმოფენობას, აღდგომის სწორზე — კვირაცხოვლობას. ზოგი კორკოტს აღების შაბათსაც აკეთებდა. კორკოტს ხარშავდნენ აგრეთვე მიცვალებულის „რიგებზე“, — ორმოცსა და წლისთავზე. ზოგჯერ დაკრძალვის დღესაც იცოდნენ.

მიცვალებულისთვის კორკოტის მომზადების აუცილებლობაზე უნდა მიუთითებდეს საყოველთაოდ გავრცელებული აზრი, რომ თითქოს კორკოტზე მიცვალებულს უთქვამს: თუ ხორბალი არა გაქვთ, ბაგა ამოწმინდეთ, ჩემ სამყოფ ხორბალს იქ იპოვით და კორკოტი გამიკეთეთო.

კორკოტი ხვავისა და ბარაქის ბედობაზე მზადდებოდა. შობას კორკოტის მომზადების დროს ყურადღებას აქცევდნენ ფაფის ნაღებს, საითაც ნაღები შეგროვდებოდა, მათი აზრით, იმ მხარეს მეტი და კარგი ყანები იქნებოდა. არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ კორკოტი წლის მოსავლის ბედობისთვის იყო განკუთვნილი. ზოგჯერ მიცვალებულის კორკოტის მიხედვითაც მსჯელობდნენ წლის მოსავალზე. თუ აღების შაბათს კორკოტი ხარშვის დროს დიდ ქუდს, ანუ ნაღებს დაიყენებდა, იტყოდნენ, ამ წელს კარგი მოსავალი მოვაო.

ვინ იცის, კიდევ რა მნიშვნელობას მიაწერდნენ ჩვენი წინაპრები კორკოტის მომზადებას და ამ კერძით მიცვალებულების სულების გამასპინძლებას. შესაძლებელია ამ წეს-ჩვეულებას და რიტუალს, რომელიც ნაყოფიერების დასაბევებლად მიცვალებულის სახელზე და შობას ამავე დანიშნულებით სრულდებოდა, ერთი კონკრეტული მიზანი ჰქონოდა. ორივე შემთვევაში კორკოტის მომზადება ალბათ ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიმართული შეწირულობა იყო, რომელიც მიწასთან, სულებთან მუდმივ კვდომა-განახლებასთან და ამდენად სწორედ მიცვალებულთან იყო დაკავშირებული. სულეთის ღვთაებების ნაყოფიერებასთან კავშირი გამართლებულია ძველი, ეგვიპტისა და ანტიკური ანალოგიური რელიგიური შეხედულებების ფონზე, სადაც მომაკვდავი და აღდგომადი ღვთაებები მიცვალებულთა ღვთაებებადაც არიან ცნობილი.

ეთნოლოგმა, ისტორიკოსმა და მეცნიერმა ვ. ბარდაველიძემ ლიფანალის მხატვრობის დანიშნულების გარკვევის დროს აღნიშნა, რომ ლიფანალი მიცვალებულის კულტის და ბუნების ძალების აღორძინებასთან დაკავშირებული დღეობაა; ალბათ ამიტომ იყო, რომ მიცვალებულის კორკოტი და ახალი წლის დღესასწაულზე — შობას მომზადებული კორკოტი ბუნების ძალების აღორძინებას, მთელი წლის სიკეთის დაბევების საქმეს ემსახურებოდა. აი, ასეთი რიტუალური დანიშნულება ჰქონდა კორკოტს და ალბათ იმ იარაღს, რომელშიც ის ინაყებოდა. ამ სანაყს შიდა ქართლში მკვდრის როდინი ერქვა. ისტორიულ ქვემო ქართლსა და სამცხე ჯავახეთში კორკოტისთვის დიდი როდინი იხმარებოდა. მაგრამ ეს როდინი მარტო მიცვალებულთან დაკავშირებული რიტუალის და შობის დროს არ იყო გამოყენებული, არამედ კორკოტი ისევე როგორც ხელსაფქვავში დაღერღილი კორკოტისგან მომზადებული სხვადასხვა კერძი, ამ რეგიონების მოსახლეობის ძირითადი საკვები იყო. ალბათ სანაყებს შორის ასეთი სხვაობაც ამით უნდა იყოს გამოწვეული.

უცნობია, რისთვის იყენებდნენ ჩვენი შორეული წინაპრები პატარა ქვის სანაყებს, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოში შულავერ-შომუთეფეს კულტურის ძეგლებზე (გვიან ნეოლითი — ადრე ენეოლითი) კერძოდ ხრამის დიდ გორაზე აღმოჩნდა. ასევე, პატარა ქვის სანაყები ცნობილია ნეოლითის ხანის ძეგლზე ანასეულში (გურია) და ოდიშში.

ნინო პოპიაშვილი,
მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი.

ერთობლივი პროექტი – „ღვინის გზა“

ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის მე-6 კლასსა და ქ. თბილისის №191 საჯარო სკოლის მე-6 კლასებს შორის დაიწყო გრძელვადიანი, პროექტი „ღვინის გზა“. ეს არის ისტორიის და ინგლისური ენის ინტეგრირებული პროექტი. პროექტის პირველი ეტაპი, მოსწავლეთა გაცნობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, გოდერძი გონაშვილის საოჯახო მარანში შედგა.

პირველი შეხვედრიდან მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ გაზეთი „შირაქი“ პროექტის იდეის ავტორებსა და მონაწილე მოსწავლეებს გაესაუბრა:



თეონა საბიაშვილი ***(ზემო მაჩხაანის სკოლის პედაგოგი):*** „სასკოლო განათლებამ მოზარდს უნდა განუვითაროს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული ინტერესები. მისცეს მათ აქტიური მოქმედების შესაძლებლობა. სკოლამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარი და საორგანიზაციო ჯგუფური მუშაობის ჩვევები.



მარანში საოცარი გარემო დაგვხვდა, ბატონმა გოდერძიმ გულთბილად გვიმასპინძლა. ბავშვებს დეტალურად აუხსნა, თუ რა გზას გადის ვაზი ღვინომდე, რთველის პროცესის მნიშვნელობაზე და ტრადიციებზე. ბავშვებთან ერთად მომზადდა კახური თათარა, ამოავლეს ჩურჩხელა. ასევე გაიმართა კახური შოთის თონეში ცხობის მასტერკლასი და ღვინის დეგუსტაცია.მოსწავლეები კმაყოფილებას ვერ ფარავდნენ, ძალიან მოეწონათ ეს გარემო.

ამის შემდეგ ბავშვებმა მოინახულეს დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ელიას მთა და ხორნაბუჯის ციხე, სადაც გიდობას ინგლისურ ენაზე ზემო მაჩხაანის 6-ე კლასის ბავშვები უწევდნენ.

„ღვინის გზა“ არის საოცარი პროექტი, რომელიც სასწავლო წლის ბოლოს დასრულდება. მანამდე ბავშვები ერთობლივად ბევრ საინტერესო ადგილს მოინახულებენ. წინ ელით ბევრი საინტერესო პროექტი და რაც მთავარია, ორ სკოლას შორის მრავალწლიან თანამშრომლობას ჩაეყარა საფუძველი. ბავშვებისა და მასწავლებლების სახელით მადლობას ვუხდით სკოლის ადმინისტრაციას მხარდაჭერისთვის, ასევე კლასის დამრიგებლებს, ისტორიის და ინგლისურის მასწავლებლებს,“ — აღნიშნავს ზემო მაჩხაანის სკოლის ინგლისურის პედაგოგი თეონა საბიაშვილი.

ნიკოლოზ მოსულიშვილი ***(ზემო მაჩხაანის სკოლა):*** შთაბეჭდილებებით დატვირთული დღე იყო, რადგან თანატოლები გავიცანით და მათ გიდობა გავუწიეთ. მადლობას ვუხდით მასწავლებლებს, რადგან მოგვეცა შესაძლებლობა ახალი მეგობრები შეგვეძინა. ასევე მადლობა ბატონ გოდერძის, რომელიც ტრადიციული კუთხური სადილით გაგვიმასპინძლდა და დეტალურად აგვიხსნა ღვინის გზა“.

ნატალი ნატროშვილი ***(მოსწავლე):*** „ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული დღე, ბევრი საინტერესო რამ ვნახეთ. განსაკუთრებით დაგვაინტერესა მარანში სტუმრობამ. დეტალურად აგვიხსნეს ღვინის დაყენების ტექნოლოგია“.

სანდრო ქადაგიძე ***(მოსწავლე):*** „თბილისელ თანატოლებთან ერთად ამ პროექტზე ერთობლივი მუშაობა ძალიან საინტერესო იყო, მოუთმენლად ველი ჩვენს შემდეგ შეხვედრას და მომდევნო აქტივობებს. ძალიან მიხარია ახალი მეგობრების შეძენა“.

თამარ გოგილაშვილი ***(მოსწავლე):*** „ეს დღე არასოდეს დამავიწყდება. დიდი მადლობა სკოლას, მასწავლებლებს, ბატონ გოდერძი გონაშვილს, მუზეუმის თანამშრომლებს და სტუმრებს, ასეთი ნაყოფიერი დღისთვის“.

ილია მარტყოფლიშვილი

ტრაგედია არხილოსკალოში

სოფელ არხილოსკალოში ვეფხისა და მოყმის ძეგლიდან ფილა ჩამოვარდა და 3 წლის ბავშვს დაეცა, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ტელევიზიით ითქვა, თითქოს მონუმენტი ჩამოიშალა და ბავშვი ნანგრევებში მოჰყვა. სინამდვილეში, კადრებშიც ჩანდა, რომ არაფერი ჩამოშლილა. ძეგლის სადგამიდან (კვარცხლბეგიდან) რომელიც მიწიდან დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლისაა, გადმოვარდა ერთი ფრაგმენტი, რაც დაბლა მდგარ ბავშვს დაეცა.

დედოფლისწყაროს კლინიკაში ამბობენ, რომ ძეგლთან სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფი გამოძახებიდან მალე მივიდა, თუმცა ბავშვი სამედიცინო დაწესებულებაში გარდაცვლილი შეიყვანეს.

„ჩვენთან შემოყვანისას სასიცოცხლო ნიშნები არ აღენიშნებოდა, კლინიკაში შემოვიდა უკვე გარდაცვლილი. ადგილზე გარდაცვალება სასწრაფოს მორიგე ექიმებმა დააფიქსირეს. როგორც ვიცი, ყველაფერი გაკეთდა, რა პროცედურების საჭიროებაც იყო," — ამბობს ექიმი, ეკა მანაგაძე.

კვირა დღეს ოქტომბრის დასასრულისთვის უჩვეულოდ თბილი ამინდის გამო სოფელ სამრეკლოში მცხოვრებმა მრავალშვილიანმა ოჯახმა არხილოსკალოში გასეირნება გადაწყვიტა. დედამ შვილები არხილოსკალოს ხარების სახელობის ტაძართან მიიყვანა, მოილოცეს მშენებარე მონასტერი და იქვე მახლობლად მდებარე მემორიალთან გადაინაცვლეს. ბავშვები მემორიალთან თამაშობდნენ და პიკნიკს აპირებდნენ, გარდაცვლილი ბავშვი არსად ასულა. ოჯახის ახლობლები ამბობენ, რომ ბეტონის ამ ფრაგმენტს არც დანარჩენი ბავშვები შეხებიან. ფილა გადმოვარდა და 3 წლის ბიჭი მოიყოლა. სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი მალე მივიდა, თუმცა ბავშვის გადარჩენა ვერ მოხერხდა. გარდაცვლილი ოჯახის მეხუთე, ნაბოლარა შვილია. თავად სასწრაფო დახმარების ცენტრში მუშაობს გარდაცვლილის დედაც, რომელიც დაშავებული შვილისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას თავად ცდილობდა.

ფოტოზე ასახულია ფრაგმენტი, რომელზეც ჩანს, რომ ეს ფილა მორყეულია და ადვილად შეიძლება გადმოვარდეს. შესაძლოა ვივარაუდოთ ისიც, რომ ფილა სხვა დროსაც ჩამოვარდა და ვიღაცამ სახელდახელოდ თავის ადგილზე დააბრუნა. ორიოდ თვის წინ ეს ფილა ასე გადატეხილი არ იყო, მყარად გამოიყურებოდა. მას შემდეგ ამ გორაკზე მძიმე ტექნიკა შევიდა და ადგილობრივების ინიციატივით 27 სექტემბერს, ჯვართამაღლების დღესასწაულთან დაკავშირებით მემორიალთან დიდი ზომის ჯვარი აღიმართა. სწორედ ამ პერიოდში ჩნდება ნახეთქი ამ ფილაზე. (მანამდე მისი მთლიანობა საკუთარი თვალით მაქვს ნანახი — ავტორი.) ძეგლი სოფლის დასახლებული ნაწილიდან მოშორებით მდებარეობს და მავთულბადითაა შემოღობილი. ცენტრალური გზიდან ას მეტრზე მეტი მანძილითაა დაშორებული, ამიტომ იქ ხალხმრავლობა თითქმის არასდროსაა.

არასამთავრობო და უფლებადაცვითი ორგანიზაციები აცხადებენ, რომ გაურკვეველია საქართველოში საბჭოთა ძეგლები ვის მფლობელობაშია. ამას გარდა, არ არსებობს ნაგებობების მოვლის, ან ზედამხედველობის რეგულაციები, ამიტომ რომელ უწყებას ევალება მათი შემოწმება, განსაზღვრული არ არის.

ნათია გონაძე *(ნაგებობების უსაფრთხოების ექსპერტი):* „მონუმენტებზე და სხვა მცირე ზომის ნაგებობებზე არ გვაქვს ასეთი მკაცრად გაწერილი რეგულაცია. კარგი იქნებოდა გვქონოდა მარეგულირებელი სისტემა, თუმცა ახლა არ გაგვაჩნია სისტემა, რომელიც ხელისუფლებას დაავალდებულებს მუდმივ ზედამხედველობას მსგავს ნაგებობებზე, რათა თავიდან იქნას აცილებული უბედური შემთხვევები. ის, რომ კანონმა დაავალდებულოს თვითმმართველობის ხელისუფლება, გამოყონ ჯგუფები და ასეთი ძეგლები შეამოწმონ, ამჟამად არ მოქმედებს".

მომხდარზე გამოძიებას შს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველო აწარმოებს. მოკვლევა 116-ე მუხლითაა დაწყებული.

ილია მარტყოფლიშვილი

გამოსათხოვარი

იზოლდი ბოსტოღანაშვილი

90 წლის ასაკში გარდაიცვალა ბოსტოღანაშვილების გვარის დიდი წარმომადგენელი - ქალბატონი იზოლდი ბოსტოღანაშვილი. ქალბატონ იზოლდის (ნათლობის სახელი- ელისაბედი) ახლობელი თანატოლები იზოს ეძახდნენ, უმცროსი ასაკი - იზო დეიდას, ხოლო შვილიშვილებისათვის- იზო ბებია იყო. მეუღლე- ივანე ხუმარაშვილს (ვანო ძია) დიდი ავტორიტეტი გააჩნდა მოსახლეობაში და განსაკუთრებით „ქედელებში" (წარმოშობით-ფშაველი - ქვემო ქედიდან). სადმე თუ ნასვამ ქედელს ავტოინსპექტორი დაჯარიმებას დაუპირებდა, ისინი იმწამსვე ვანო ძიათი დაემუქრებოდნენ. ერთხელ, თურმე, წნორელი ავტოინსპექტორი დაინტერესდა ამ პიროვნებით და სპეციალურად ესტუმრა ვანო ძიას. (ყველამ იცოდა, რომ ვანო ხუმარაშვილის სახლში მუდამ „აუღებელი სუფრა" იყო), რომ დაინახა 50 წლის კაცი, გაოცებულმა უთხრა: 40-60 წლის „ქედელებს" რომ ვაჩერებ, ყველა „ვანო ძიათი" მემუქრება და მაინტერესებდა, რა ასაკის ბრძანდებოდითო. დეიდა იზო პროფესიით ექიმი-თერაპევტი გახლდათ და მაღალი პროფესიული დონის წყალობით და ამგვარი მეუღლის „პატრონს" მთელი წითელწყაროს (ამჟამინდელი დედოფლისწყარო) რაიონი იცნობდა. მე იზო დეიდა ბავშვობიდან განსაკუთრებით მიყვარდა. ალბათ იმიტომ, რომ ექიმი იყო-გვარად ბოსტოღანაშვილი (დედა ბოსტოღანაშვილი მყავდა და ისინი მაჩხაანურად ბიძაშვილობდნენ), შვილიც -პაატა ჩემი ასაკის ჰყავდა და ჩვენ ვმეგობრობდით. როცა ინსტიტუტი დავამთავრე და წითელწყაროს რაიპოლიკლინიკის ხელმძღვანელად დამნიშნეს, იზო დეიდა უკვე სხვა ამპლუაში გავიცანი...ბუნებრივია, ოჯახებით სიახლოვის გამო, ჩემი ახალგაზრდა ასაკის გათვალისწინებით, მისი დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან და ბოსტოღანაანთ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, იზო დეიდამ ახლად „გამომცხვარი" ხელმძღვანელის „მეურვეობა" იტვირთა. ეს ფუნქცია ძირითადად ხელმძღვანელის ეთიკის ნორმების კონტროლს უკავშირდებოდა. აი, მაგალითი: დაახლოებით 1987 წლის ზაფხულში ხუმარაშვილებთან ხანგრძლივ ვახშამზე კარგად გვარიანად შევთვერი. დილით, ნაბახუსევი 9-ის ნახევარზე (რაიპოლიკლინიკა და სოფლის ამბულატორიები დილის 8 საათზე ვიწყებდით მუშაობას) ავდივარ ახლად გახსნილი პოლიკლინიკის შენობის კიბეებზე და ცენტრალური შესასვლელის წინ, ბაქანზე იზო დეიდა ჩვეული „ღიმილნარევი სერიოზული" სახით მხვდება. მეც, ჩვენი ახლობლობიდან გამომდინარე შევეცადე „ახალგაზრდა ხელმძღვანელის მანერით" შორიდანვე მივსალმებოდი. როგორც კი მივუახლოვდი: „ქიზიყურად ჩამჩურჩულა": ბოსტოღანაშვილების გვარს ნუ არცხვენო!. ალმური ამედო, მაგრამ „იხტიბარი არ წავიხდინე" და ხელმძღვანელის თავმომწონებით „შევეკამათე": რა დავაშავე-მეთქი. იზო დეიდამ აქეთ-იქით მიმოიხედა და შეამჩნია რა დაცქვეტილყურებიანი „რეგისტრატურის გოგოების" ცნობისმოყვარე თვალები, ჩვეული „სიმკაცრით" მიხრა:- დანარჩენს შენს კაბინეტში გეტყვიო. ავდივართ მესამე სართულზე, მაგრამ ვაი, ამ ასვლას. ბახუსისაგან თავი მისკდება, იზო დეიდას „ნოტაციების" მოლოდინში კი - გული... შევედით კაბინეტში: - რეგისტრატურაში ამ დილით რომ დარეკე, დილის კონფერენცია არ გექნებათო, აღმასკომში უნდა ვიყოო. გგონია, ვინმე მოატყუე და ვერ ხვდებიან, რომ ნაბახუსევს თავის აწევა გეზარება და რაღაცეებს იგონებ!... დილით დაგვიანებულ თანამშრომლებს რომ არ „ინდობ" და საყვედურებს უცხადებ, მათ რა ოჯახები არა აქვთ თუ ქეიფი და დროს ტარება ეშლებათ?!... გასაგებია, რომ სიმკაცრისა და მოთხოვნის გარეშე სამსახურში წესრიგი არ იქნება, მაგრამ ეს მოთხოვნა უპირველესად საკუთარ თავს უნდა დაუყენო! თუ გინდა, რომ მოთხოვნა და სიმკაცრე სამართლიანი იყოს, ასეთ ორმაგ სტანდარტებს თავი უნდა დაანებო! მივხვდი, რომ ამგვარ ლოგიკას ვერაფერს დავუპირისპირებდი. ბოდიში მოვუხადე, აღარ გამეორდება-მეთქი და სკამზე სასჯელმისჯილის სახით დავეშვი... მას შემდეგ ცხოვრებამ უამრავი მიმართულებით „მახოხიალა", მაგრამ „უფროსის პრივილეგიებით" არასოდეს მისარგებლია... დაგვიანებით კი არა, 10 წუთით ადრე მივდივარ დანიშნულ ადგილზე და ამით უამრავი გაუგებრობაც ამირიდებია თავიდან. იზო დეიდა ფსიქო-სომატური კონსტიტუციით რეალისტი ადამიანი იყო. ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდში ბრძოლის მიტინგურ ხასიათს ნაკლებად აფასებდა. ყოველთვის იმეორებდა, რომ მიტინგზე ემოციები ჭარბობს და ამ დროს ჯანსაღი აზრი იკარგებაო. 90-იანმა წლების სიდუხჭირემ სულიერად ვერ გატეხა.

პირიქით, აქეთ გვამხნევებდა და მუდამ ჩვენი ერის ურთულეს ეპიზოდებს შეგვახსენებდა. პურს სახლში აცხობდა, ბოსტნეულიც ბაღჩაში მოჰყავდა და მშიერ ადამიანს უცილობლად დააპურებდა.

კიდევ ერთი შტრიხი მისი ხასიათისა - მაჩხაანური იუმორი. იუმორისტულ სიუჟეტს თუ ქიზიყური კილო-კავით შეაზავებდა და ისე მოყვებოდა ამბავს, მაშინ ხომ ამ იუმორს მარილიანად ვიღებდით... მუდამ სითბოს და ხალისს თესავდა! გონიერი ქალბატონი იყო და ეს გონიერება ბოლო ამოსუნქვამდე არ დაუკარგავს. ისე წავიდა ამ წუთისოფლიდან, არ უშფოთვია, არ დაუკვნესია. გული მწყდება, რომ მისი მიწიერი ცხოვრების ბოლო დღეებში ვერ ვინახულე. იმედია, მისი სული უკვე გაეცნო ჩემს აქ მოყვანილ სტრიქონებს და ისევე სულგრძელად მიმიტევებს, როგორც ჩემს ახალგაზრდობაში მპატიობდა.

დიახ, იზო დეიდაში ლამაზად იყო შეხამებული ქალური სათნოება, ქიზიყური პირდაპირობა და ბოსტოღანაანთ პასუხისმგებლობა. იზო დეიდა იმ კატეგორიის ადამიანებს მიეკუთვნება, რომლებიც სწორად ცხოვრებისაკენ მიგვითითებენ, ცხოვრებისეულ სიმძიმეებს გვიმსუბუქებენ, სიცოცხლეს გვიხალისებენ, ამასოფლის სირთულებს გვიიოლებენ და თავიაანთი გარდაცვალებით ამ ქვეყნიდან გასვლასაც გვიიოლებენ! ღმერთმა ნათელში ამყოფოს ელისაბედ (იზოლდი) ბოსტოღანაშვილის სული;

უფალმა დაუმკვიდროს ადგილი, სადაცა მართალნი განისვენებენ, ამენ!

გიორგი (გოგი) კიკილაშვილი
03.11.2023 წ.

შეხვედრა ფსიქოლოგთან

ქ.დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლაში სპეციალური მასწავლებლის ირინა ფიროსმანაშვილის ორგანიზებით მე-7,8,9 კლასებში სკოლის დირექციის, კლასის დამრიგებლების, საგნის მასწავლებლების, მშობლების მონაწილეობით შედგა შეხვედრა ფსიქოლოგთან, ბატონ ბესიკ გიგოლაშვილთან. საუბარი წარიმართა მნიშვნელოვან საკითხებზე. განხილული იქნა მოზარდობის ასაკის დამახასიათებელი პრობლემები და დაძლევის გზები. ასევე, ემოციების მართვა, მიმღებლობა, ცნობიერების ამაღლება და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა.

ექიმის გაკვეთილი

გარდატეხის ასაკი და მისი თავისებურებანი. ამ საკითხებზე მეტად საჭირო და საინტერესო რჩევები მიიღეს ქალაქ დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის მერვე კლასის მოსწავლეებმა. გაკვეთილს სკოლის ექიმი თეა ყოჩიაშვილი უძღვებოდა.

„ამჯერად გარდატეხის ასაკზე ვისაუბრეთ, მანამდე გვქონდა შეხვედრები ვაქცინაციის შესახებ, ასევე პაპილომა ვირუსის პრობლემა გავაცანით მოზარდებს. მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება ასეთი საინტერესო შეხვედრები. ამას გარდა, საინფორმაციო შეხვედრა გავმართეთ მშობლებთანაც," – უთხრა „შირაქს" თეა ყოჩიაშვილმა.

ქ დედოფლისწყაროს №2 ბაგა-ბაღის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბაგა-ბაღის აღსაზრდელის

გაბრიელ ალადაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ზაქარია ალადაშვილსა და ხატია ჯინაშვილს შვილის

გაბრიელი ალადაშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.

ილია დათუკიშვილი და ნანა კიკილაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ შვილებს - პაატა და მაია ხუმარაშვილებს, რძალმაიას, სიძე - გელას დედის

იზოლდი ბოსტოღანაშვილის

გარდაცვალების გამო.

ფატი და ლუიზა ზურაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

იზოლდი ბოსტოღანაშვილ-ხუმარაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ შვილებს - პაატას და მაიას, რძალს მაია ყოჩიაშვილს, სიძეს გელა ბეგაშვილს და შვილიშვილებს.

ღია პირველობა უშუ-სანდაში და 8 პირველი ადგილი

29 ოქტომბერს, დედოფლისწყაროს სპორტის შენობაში გაიმართა დედოფლისწყაროს მე-7 ღია პირველობა უშუ-სანდაში, სადაც მონაწილეობდა საქართველოს ექვსი მუნიციპალიტეტის რვა გუნდი, 63 მონაწილით, 20 სხვადასხვა კატეგორიაში. დედოფლისწყაროელი რვა სპორტსმენი გახდა პირველი ადგილის მფლობელი. ეს მონაწილე ქალაქებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ღონისძიების ორგანიზატორი იყო ა.ა.ი.პ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი. ღია პირველობა გაიმართა მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელშეწყობით.

პირველი ადგილი: ალეკო სურმანიძე, დაჩი ზოროღლიანი, ირაკლი ყოჩიაშვილი, ლუკა ლიქოკელი, ნიკოლოზ ხარაზიშვილი, საბა ბუთხუზი, იოსებ ყაბანაშვილი, ლუკა კვანჭილაშვილი;

მეორე ადგილი: ბესო გლახოშვილი, გიორგი ნაროზაული, გიორგი ქართელიშვილი, ანრი კილაძე, ნუგზარ ჭრელაშვილი, ლუკა პოპიაშვილი; მესამე ადგილი: - იოვანე ოგანესიანი, ნიკოლოზ არაბული, დავითი ქადაგიძე, გიორგი დინგაშვილი, დავით ბუაძე.

გიორგი ცისკარაული: „განსაკუთრებით საინტერესო და გამორჩეული იყო ნიკოლოზ ხარაზიშვილის და დაჩი ზოროღლიანის ბრძოლა. ასევე ძალიან ლამაზი ბრძოლები აჩვენეს, ირაკლი ყოჩიაშვილმა და ლუკა ლიქოკელმა. რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონს საბა ბუთხუზს, მან ბრძოლის დაწყებიდან რამდენიმე წამში მეტოქეს ცხვირის ტრავმა მიაღებინა და ტექნიკური ნოკაუტით დასრულდა ბრძოლა. ამის გამო დამსწრე საზოგადოება ვინც საბას საინტერესო ბრძოლას ელოდა, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ვერ იხილეს.. საერთო ჯამში ძალიან კარგად ჩაიარა შეჯიბრებამ, ჩვენმა გუნდმა 8 გუნდს შორის გუნდური პირველი ადგილი დაიკავა. ეს შედეგი მოსალოდნელიც იყო, რადგან ძალიან მაგრად მოვემზადეთ ამ შეჯიბრებისთვის. ორგანიზება უმაღლეს დონეზე გვქონდა. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, 1 ნოემბროდან 10 ნოემბრის ჩათვლით გივი გოჩიტაშვილი და საბა ბუთხუზი გაემგზავრნენ სპორტულ შეკრებაზე (ე.წ ზბორებზე) სადაც გივი გოჩიტაშვილი და თბილისელი ვალერი პეტტერევი მოემზადებიან ამერიკაში 16-20 ნოემბერს დაგეგმილი მსოფლიო ჩემპიონატისთვის. სპორტულ შეკრებას ნაკრების წევრებისთვის უშუს ეროვნული ფედერაცია აფინანსებს“.

საბა ბუთხუზი ***(მსოფლიო ჩემპიონი):*** „ჩემი პირველი მეტოქე იყო გიორგი ფოცხვერაშვილი, რომელსაც პირველივე რაუნდის დასაწყისში გავარტყი თავში ფეხი. ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა და ამის გამო დროებით შეაჩერეს ბრძოლა, სისხლი რომ შეუჩერდა, ისევ გავაგრძელეთ ბრძოლა და პირდაპირი მოხვდა სახეში და ისევ ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა. ამის გამო გააჩერეს ჩხუბი და ჟიურის გადაწყვეტილებით, აშკარა უპირატესობით, გამარჯვება მომცეს. მეორე მეტოქეს, რომელიც ფინალში უნდა შემხვედროდა ტრავმის გამო ვერ გამოვიდა. რაც შეეხება ჩემს განცდებს, როცა იქ ვიბრძვი, სადაც ვცხოვრობ, რა თქამა უნდა, მეტი ძალა და მეტი სტიმული მეძლევა, რომ გავიმარჯვო. ჩემი აზრით ამჯერად ის სანახაობა ვერ ვაჩვენე, რაც მინდოდა. ჩემი შედეგით მე არ ვარ კმაყოფილი, მეტი დრო უნდა მქონოდა და მეტი უნდა მეჩვენებინა ჩემი ხალხისთვის, მაგრამ მეტოქე ვერ მომყვა იქამდე რომ სანახაობა ყოფილიყო. საბოლოოდ ჩემპიონატმა კარგად ჩაიარა, მე თუ ვერა, ჩემმა გუნდელმა ბიჭებმა უკეთესი სანახაობრივი ბრძოლები აჩვენეს და ამით კმაყოფილი ვარ. ადამიანი ყოველდღიურად მეტს სწავლობს. ამჟამად მე წვრთნებზე ვიმყოფები, მყავს სხვადასხვა წონისა და ასაკის მეტოქეები. უკეთესად ვანვითარებ ჩემს ფიზიკურ, ასევე ტექნიკურ ძალას და გვაქვს განტვირთვის საშუალებაც. რა თქმა უნდა მომზადება მნიშვნელოვანია, ის ეფექტურია არამარტო ჩემთვის, სხვა მებრძოლებისთვისაც. დამწყები სპორტსმენები და გამოცდილებიც ანვითარებენ სისწრაფეს, ძალას და ა.შ. უფრო უკეთესად შევისწავლით ჩვენი საბრძოლო ხელოვნების ქცევის წესებს, თუ როგორ უნდა მოიქცეს სპორტსმენი, ასევე ვსწავლობთ, რომელ დარტყმაზე იწერება ჯარიმები, რა შეიძლება და რა არა. მაქსიმალურად ვცდილობთ შეცდომების გამოსწორებას“.

ილია მარტყოფლიშვილი

თელავის საჭადრაკო ტურნირი

28-29 ოქტომბერს, ქ. თელავში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი სწრაფ (რაპიდი) ჭადრაკში. ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ 10, 12 და 14 წლამდე ასაკის ვაჟები და გოგონები, შვეიცარიული სისტემით - 9 ტურად ჩატარდა. მოსაფიქრებელი ძირითადი დრო იყო - 15 წუთი. ყოველ სვლაზე -10 წამის დამატებით. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობდნენ:
ნიკოლოზ იაკობიშვილი *- 8 წლის,*
მათე მარტყოფლიშვილი *- 9 წლის,*
სალომე კვიწინაშვილი *- 10 წლის*
და ოთარ ელოშვილი *- 13 წლის.*

ყველაზე წარმომადგენლობითი გამოდგა 10 წლამდე ვაჟების ჯგუფი, სადაც ერთმანეთს ეპაექრებოდა 32 მოზარდი. სასიხარულოა, რომ ამ ჯგუფში 9 შესაძლებლობიდან - 8 ქულით მათე მარტყოფლიშვილმა ღირსეულად დაიმსახურა მე-2 ადგილი. მან 1.5 ქულით გაასწრო მე-3 ადგილოსანს.

გოგი კიკილაშვილი ***(ჭადრაკის წრის პედაგოგი, კახეთის ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი):*** „უნდა აღინიშნოს, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან, ბოლო 40 წლის განმავლობაში, ასეთი შედეგი არ დადებულა და ჭადრაკის მოყვარულებმა შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ დღეისათვის უკვე გვყავს 10 წლამდე ასაკში, საქართველოს ვიცე-ჩემპიონი. იმედია,მომავალში მათე მარტყოფლიშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს მეტი წარმატებით გაახარებს.

ასევე, აღნიშვნის ღირსია 8 წლის ნიკოლოზ იაკობიშვილის თამაში. საყურადღებოა, რომ 8 წლის მოჭადრაკე უფროს, 10 წლამდე ასაკის ვაჟებს ტოლს არ უდებდა და 6 გამარჯვებით მე-4 ადგილი დაიკავა.

14 წლამდე ასაკის ვაჟებში დედოფლისწყაროელი მოთამაშე ოთარ ელოშვილი მეოთხე ადგილს დასჯერდა. თუმცა, ჩემი აზრით, მასში საჭადრაკო პოტენციალი ბევრად მაღალია, ვიდრე ეს შედეგი და იმედია, ჯეროვანი მეცადინეობით, იგი სულ მალე უკეთეს შედეგს მიაღწევს. ბოლოს, გაზეთ „შირაქის“ ფურცლებიდან მადლობა მინდა ვუთხრა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელობას ტურნირში მონაწილეობის ხელშეწყობისთვის“.

მარიამ იაკობიშვილი ***(ნიკოლოზ იაკობიშვილის მშობელი):*** „მამამისი ჭადრაკის მოყვარული მოთამაშეა, შეიძლება ითქვას, თვითნასწავლი. ნიკოლოზიც პირველად 5-6 წლის ასაკში დაინტერესდა ჭადრაკით, როდესაც მამას და ბიძას თამაშს უყურებდა. თავდაპირველად მეგონა, უბრალო, დროებითი გატაცება იქნებოდა, მაგრამ ბავშვი დაჟინებით ითხოვდა ჭადრაკის შესწავლას. შემდეგ მოვიძიე ინფორმაცია, თუ ვინ იყო ჭადრაკის პედაგოგი დედოფლისწყაროში და ბატონ გოგისთან მოვიყვანე. უკვე 7 თვეა, რაც ჭადრაკის გაკვეთილებზე დადის... უზომოდ კმაყოფილია და, რა თქმა უნდა, ეს მეც ძალიან მახარებს. როგორც ვატყობ, მისი მოტივაცია ძალიან დიდია და იმედი მაქვს, ასევე გაგრძელდება. უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო დედოფლისწყაროს მერს ამ შესაძლებლობისთვის, რომ ბავშვების ყოველმხრივ განვითარებაში უდიდესი წვლილი შეაქვთ“.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

ნანა ჭიჭინაძეს!

საქართველოს ოპერისა და ბალეტის თეატრის ჭეშმარიტ მეგობარს, ნიჭიერ ქალბატონს ნანა ჭიჭინაძეს გულითადად ვულოცავთ საქართველოს მუსიკალური საზოგადოების მიერ ხელოვნების ქურუმის წოდების მინიჭებას. ღმერთმა მშვიდობა და ჯანმრთელობა არ მოგაკლოთ, დაუღლელო და სიკეთით სავსე ქალბატონო!

პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით,
რევაზ ტაკიძე–სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ზაზა აზმაიფარაშვილი–პეტერბურგის სერგეი პროკოფიევის სახელოვნების დირიჟორთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, გოგი ჭიჭინაძე –პოლონეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მანანა ახმეტელი–საქართველოს მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარე, თბილისის საპატიო მოქალაქე.

იყიდება!

იყიდება სახლიდან წიგნების კარადა, სამზითვო ნატურალური დიდი და პატარა ნოხები, მამაკაცის „დუბლიონკა“ გრძელი და მოკლე, მამაკაცის თბილი ქურთუკი, ახალი პიჯაკები, ჭაღები, ჭურჭელი, მიტკალი, ბატისტი, სატინა, ჩითი, ბამბაზია და სხვა წვრილმანი.

ტელ; 599 35 76 97;
მისამართი: მეგობრობის 95, დედოფლისწყარო.

ამინდი დედოფლისწყარო

	ორშაბათი 06.11	სამშაბათი 07.11	ოთხშაბათი 08.11	ხუთშაბათი 09.11	პარასკევი 10.11	შაბათი 11.11	კვირა 12.11
დღე	20°	20°	16°	17°	18°	14°	16°
ღამე	9°	6°	6°	6°	5°	4°	6°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი. ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი